



საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი
რესურსების მინისტრი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 166

„17“ კოლო 2012 წ.

მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური
ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. განისაზღვროს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების
მოსაკრებლის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის შემდეგი მინიმალური ოდენობა:

- ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – 500 ფურცლამდე;
- ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი ასლი – 500 ფურცლამდე.
- გ) კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა- 100 დისკი

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში
საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო
ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი საკუთარი ინიციატივით ან
ფიზიკური პირის შუამდგომლობის საფუძველზე, პირის სოციალური მდგომარეობის
გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების
მოსაკრებლის გადახდის გარეშე ერთჯერადად გასაცემი საჯარო ინფორმაციის ოდენობის
შესახებ.

მარიამ ვალიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

(მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი)